სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

5 თებერვალი
2016 წელი

2016 წლის ტრენინგების I ნაკადის მსმენელებს სერტიფიკატები გადაეცათ

2016 წლის 5 თებერვალს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელმა თენგიზ თოფურიძემ და სასწავლო ცენტრის თანამშრომლებმა მიმდინარე წლის ტრენინგების I ნაკადის 51 მსმენელს „სახელმწიფო შესყიდვების კურსის“ გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცეს.

აღნიშნული კურსი განკუთვნილი იყო საქართველოს მუნიციპალიტეტების ორგანოების, მათ მიერ დაფუძნებული და მათ მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ააიპ-ების, შპს-ების და სხვ.) შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტებისათვის.

ტრენინგები დაფინანსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ.